

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XI





საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
The Folklore State Centre of Georgia
ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა ანთოლოგია ტომი XI

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

ღამისთევის ლოცვის საგალობლები

(II ნაწილი)

Georgian Chant Anthology Volume 11

The Chant Tradition of Eastern Georgia

Chants for Vigil

(Part 2)

თბილისი
Tbilisi
2019



ანთოლოგიის XI ტომში სრულდება სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის მიერ 1898 წელს გამოცემული „ცისკრის“ პუბლიკაცია. ამავე ტომში პირველად იბეჭდება ლამისთევის ლოცვის რამდენიმე საგალობელი სტეფანე და პოლიევქტის კარბელაშვილების სანოტო ხელნაწერთა არქივებიდან და მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერებიდან (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ლუარსაბ (ლაშა) ტოგონიძის პირად არქივში).

The publication of “Matins” published by Stephane (Vasil) Karbelashvili in 1898 is concluded in Volume 11 of the Anthology. A number of chants for the vigil service from the notated manuscript archives of Stephane and Polievktos Karbelashvili and from the manuscripts of Mikheil Ipolitov-Ivanov and Davit Molodinashvili (kept at the National Center of Manuscripts, the Central Archive of the Georgian Ministry of Justice, the State Folklore Center, and Luarsab (Lasha) Togonidze's personal archive) are being printed for the first time in this same volume.

იდვის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XI ტომის შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compiler and musical editor of Volume 11: Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია, თამარ ჩხეიძე
Editors: Rusudan Tsurtsunia, Tamar Chkheidze

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი,
Translator: Eirik Halworsen

გამოცემაზე მუშაობდნენ: რუსუდან თაბაგარი, ნუცა ნიკოლეიშვილი
The publication was prepared by: Rusudan Tabagari, Nutsa Nikoleishvili

კონსულტანტი: ქეთევან გვაზავა
Consultant: Ketevan Gvazava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, ლევან ვეშაპიძე, გიორგი აბრამიშვილი
Computer services: Svimon (Jiki) Jangulashvili, Levan Veshapidze, Giorgi Abramishvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორები: ნინო რაზმაძე, რუსუდან თაბაგარი
Project coordinators: Nino Razmadze, Rusudan Tabagari,

©საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Folklore State Centre of Georgia

©ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)

ISMN 979-0-802101-37-1 (მეთერთმეტე ტომის)

შესავალი

ანთოლოგიის XI ტომში ვაგრძელებთ კარბელაშვილთა ტრადიციის ღამისთევის ლოცვის საგალობელთა ბეჭდვას. აქ შეტანილია ცისკრისა და I ჟამის საგალობლები (სხვადასხვა დღესასწაულთა „გადიდებთ შენ“-იდან, კონდაკის „ზესთამბრძოლისა ჩემისათვის“ ჩათვლით). წინამდებარე ტომში მოცემული საგალობლები აღებულია კარბელაშვილთა „ცისკრიდან“, სტეფანე და პოლიევქტის კარბელაშვილების სანოტო ხელნაწერთა არქივებიდან და მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერებიდან.

ხელნაწერებიდან აღებული ნიმუშები პირველად ქვეყნდება. ასევე, 1898 წლის შემდეგ პირველად ხდება „ცისკარის“ რეპერტუარის უდიდესი ნაწილის ხელახალი გამოცემა.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილ საგალობელთა და მათი წყაროების თავისებურებების შესახებ, იხილეთ ანთოლოგიის შესავალი (ანთოლოგია „ქართული გალობა“, I ტომი) და X ტომში დაბეჭდილი X—XI ტომების საერთო შესავალი.¹

აქ კი, გთავაზობთ კომენტარებს XI ტომში დაბეჭდილი რამდენიმე საგალობლის შესახებ:

1) VII ხმის წარდგომის (X ტომის №223) შემდეგ, „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898:156) აღნიშნულია: „იბაკო და კონდაკი აქ უნდოდა“. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, „ცისკარში“ VII ხმის კონდაკი და იბაკო მოცემული არაა. სამწუხაროდ, VII ხმის კონდაკისა და იბაკოს მელოდიის ან ტექსტის მქონე ჰიმნებს ვერ მივაკვლიეთ ქართლ-კახური გალობის ვერც ერთ წყაროში. ამდენად, VII ხმის კონდაკისა და იბაკოს ქართლ-კახური ნიმუშები, სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ მოგვიხდა ამ საგალობლების რესტავრაცია, რისთვისაც ექსპერიმენტული ხერხს მივმართეთ — VII ხმის კონდაკის „არღარა სადამე შემძლებელ არს სიმტკიცე სიკვდილისა“² ფ. ქორიძისეული ჩანაწერის (Q673:745) მელოდიის მოდიფიკაცია-გადაწყობა შევასრულეთ ქართლ-კახური გალობის სტილში და შემდეგ შევუწყეთ II-III ხმები. ასეა აწყობილი XI ტომის №46 და №175 ნიმუშები. მათთვის ქართლ-კახური გალობისათვის ტიპური ინტონაციური იერსახის მისანიჭებლად, ცალკეულ მიკრო-მელოდიურ

¹ განსაკუთრებით ხაზგასმით, შეგახსენებთ, რომ X—XI ტომებში მოცემული ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა.

² ქორიძე-კერესელიძის ჩანაწერებში სულ რამდენიმე VII ხმის კონდაკია მოცემული. ესენია: აღდგომის, ფერიცვალებისა და დიდი შაბათის კონდაკები. ეს უკანასკნელი „ჭრელი“ საგალობელია, და განსხვავებული მელოდია აქვს პირველი ორისაგან. აღდგომისა და ფერიცვალების VII ხმის კონდაკებს კი მონათესავე მელოდიები აქვთ. ამასთან, ფერიცვალების კონდაკი აღდგომის კონდაკის „გამშვენებულ“, მელოდიურ-პოლიფონიურად გართულებულ-გარდასახულ ვარიანტს წარმოადგენს.

სემენტთა გარდაქმნასთან ერთად, შევცვალეთ მოტივურ ნაგებობათა კილოური ასპექტიც,

აღვნიშნავთ, რომ ე.წ. შემოქმედის სკოლის (გურიის) სამგალობლო ტრადიციის მცირერიცხოვან მემკვიდრეობაშიც VII ხმის კონდაკი შემონახული არაა. ქორიძე-კერესელიძის ჩანაწერებში კი, VII ხმის კონდაკები და იბაკოები შედარებით მცირე რაოდენობითაა შემონახული. კარბელაშვილთა ტრადიციისაგან განსხვავებით (რომლის მიხედვითაც, იბაკოები და კონდაკები იდენტურ ჰანგებს ეფუძნებიან), ქორიძე-კერესელიძის მემკვიდრეობაში, იბაკოებსა და კონდაკებს განსხვავებული მელოდიები აქვთ. სხვა ქართლ-კახური იბაკოების მსგავსად, ჩვენ VII ხმის იბაკო ამავე ხმის კონდაკის (და არა ქორიძე-კერესელიძისეული იბაკოების) ჰანგზე გავაწყვეთ.

2) ცისკრის ჟამის ანტიფონი (აღსავალი) რვა ხმის სისტემის მიკროციკლური საგალობელია. თითოეული ანტიფონი შედგება 2 მცირე ფორმის ჰიმნისაგან (რომელთაც თავში დაერთვის „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა“), „დიდება-ან და“-საგან და ბოლო ჰიმნისაგან, რომელიც, როგორც წესი, ყოვლადნმიდა სამების მესამე პირს — სული წმიდას ეძღვნება და მის შესახებ ეკლესიის სწავლებას გადმოსცემს (იგი იგალობება 2-ჯერ — „დიდება მამასა“-ს და „ან და“-ს შემდეგ). ცხადია, რომ ეს მცირე ციკლი, სათაურიდან გამომდინარე, ანტიფონურად სრულდება.

„ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898:188—212) დაბეჭდილია ცისკრის რვა ხმის მხოლოდ I ანტიფონები. აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ამსახველ ხელნაწერებშიც ცისკრის რვა ხმის მხოლოდ I ანტიფონებია მოცემული. სავარაუდოდ, იგულისხმებოდა, რომ დანარჩენი ანტიფონები I ანტიფონის მუსიკაზე უნდა შესრულებულიყო.

ამიტომ, გადავწყვიტეთ, ცისკრის რვა ხმის II-III ანტიფონების პოეტური ტექსტები ნოტირებული სახით გამოგვექვეყნებინა და „ცისკარში“ მოცემული I ანტიფონების მუსიკაზე გაგვეწყო. ანტიფონთა პოეტური ტექსტების წყაროდ 1822 წელს გამოცემული „პარაკლიტონი“ გამოვიყენეთ. ანტიფონთა რესტავრაცია-გაწყობისას ვხელმძღვანელობდით „ცისკარში“ დაბეჭდილი ანტიფონებით, „პარაკლიტონში“ მოცემული ანტიფონების ცეზურებითა და ე. კერესელიძის ხელნაწერ Q673-ში ნოტირებული აღსავალებით.

კარბელაშვილთა და ქორიძე-კერესელიძის ანტიფონებიდან ზოგიერთს საერთო არქეტიპზე დაფუძნებული მელოდია აქვთ, მათ შორის სხვადასხვა ხარისხის მსგავსება ვლინდება, ზოგიერთი ხმის ანტიფონები კი, სრულიად განსხვავებულ მელოდიებს ეფუძნებიან. მელოდიური მსგავსების შემთხვევაში, „კარბელაანთ“ და Q673-სეული ანტიფონების მუხლთა კილოური მიხრილობა, ძირითადად, განსხვავებულია.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „ცისკარში“ არსებულ ანტიფონთა უმრავლესობაში მუსიკალური ცეზურები ემთხვევა „პარაკლიტონში“ მოცემულ მძიმეებს. ეს

უკანასკნელი „პარაკლიტონში“ სიტყვიერ-აზრობრივ ცეზურებს არ გადმოსცემენ (აზრობრივი თუ გრამატიკული თვალსაზრისით, ხშირად მეტად უცნაურ ადგილზე არიან დასმულნი) და, აშკარად, საგალობელთა მუსიკალური ცეზურების, საგალობლის მუსიკალურ-სინტაქსური ერთეულების საზღვრების მაჩვენებლები არიან. საგულისხმოა, რომ „პარაკლიტონისა“ და კარბელაშვილთა „ცისკრის“ ცეზურები, უმეტესწილად, ასევე, ემთხვევა ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ ნოტირებულ საგალობელთა ხელნაწერ Q673-ში არსებული ყველა საცისკრო ანტიფონის (Q673, 522—614) ცეზურებსაც — იმ შემთხვევებშიც, როდესაც კარბელაშვილისა და ქორიძის მიერ ნოტირებული მელოდიები მონათესავე ან იდენტურია და, მაშინაც კი, როდესაც ისინი სავსებით განსხვავებულ მელოდიებს ეფუძნებიან, მუსიკალური ცეზურები, უმრავლეს შემთხვევებში, ერთსა და იმავე სიტყვების შემდეგაა და ემთხვევა „პარაკლიტონში“ მძიმეებით გამოხატულ ცეზურებს.

ზემოთქმული ცხად-ჰყოფს, რომ XVIII—XIX საუკუნეების ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში მწირად, მხოლოდ მუსიკალური ცეზურების სახით მოცემული მძიმეები XIX საუკუნეში ნოტირებულ საგალობელთა მელოდიურ-კომპოზიციურ თავისებურებებს ასახავს

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება უფრო ადრეული — შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპისა და XVIII—XIX საუკუნეების ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების შედარება. თუკი მათში საგალობელთა კომპოზიციურ-სინტაქსური დაყოფა ურთიერთ-მსგავსი აღმოჩნდება, ცხადია, ეს იქნება მონშობა, რომ მათში წარმოდგენილი პოეტური ტექსტები ერთსა და იმავე მელოდიური მასალაზე იგალობებოდა. ეს ქართული გალობის უწყვეტი ტრადიციისა და ხნოვანების კიდევ ერთი არგუმენტი იქნება. სხვათა შორის, როგორც ბევრ სხვა საკითხზე, ამ მიმართულებითაც საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული სტ. კარბელაშვილს, იგი აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეთა სამგალობლო ხელნაწერებში „სასვენი და ხმის ტრიალი თითქმის იქ მოდის, სადაც იმ [ნოტირებულ] საგალობლებში არიან ნაჩვენები... აი, ეს და სხვა მრავალი ნიშანი გვაძლევენ ყველა საბუთს ამ გალობის სიძველისას და არა იმას, რომ ახალი გამოგონილი იყოს“ (კარბელაშვილი, 1897:III).

წინამდებარე შრომა უკვე გასრულებული (თუმცა, არა გამოქვეყნებული) გვექონდა, როდესაც მონოზონმა ნინო სამხარაძემ, თავის სამაგისტრო ნაშრომში (სამხარაძე, 2019), დაასაბუთა კავშირი ჰიმნოგრაფიული ტექსტების „განკვეთილობის“ ნიშნებსა და ნოტირებული საგალობლების მუსიკალურ ცეზურებს შორის. „შეხვეტილიანის“ XI—XVIII საუკუნეების ჰიმნოგრაფიული კოდექსებისა და სანოტო ჩანაწერების შედარების შედეგად მკვლევარი უმნიშვნელოვანეს დასკვნას აკეთებს — ძველ ტექსტებში მოცემული „განკვეთილობის“ ნიშნები საგალობლის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების — მუხლებისა და საქცევების საზღვრებს, და

შესაბამისად, სხვადასხვა ინტენსივობის მუსიკალურ ცეზურებს გვიჩვენებენ. ამ აღმოჩენას ავტორი სამართლიან დასკვნასთან მიჰყავს: XIX საუკუნეში ნოტირებული საგალობლების მუსიკალური ცეზურების დამთხვევა XI-XVIII საუკუნეების წყაროებში მოცემული იმავე ტექსტების „განკვეთილობის“ ნიშნებთან ადასტურებს, რომ მათში ერთი და იგივე მელოდიებია გრაფიკულად ასახული (ცხადია, მცირეოდენი ვარიანტული ცვლილებების დაშვებით).

ნ. სამხარაძის მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზით მიღებული შედეგი უმნიშვნელოვანესი არგუმენტია ქართული გალობის უწყვეტი ტრადიციისა და ლოგიკურად ასაბუთებს, „შეხვეტილიანის“ (და, როგორც ჩანს, არა მარტო → ამ ციკლის საგალობლების) მელოდიური არქეტიპების უძველეს წარმომავლობას — XI, ზოგიერთ შემთხვევაში კი, VIII საუკუნიდან.³ ვფიქრობთ, ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა ქართულ მუსიკოლოგიას უმნიშვნელოვანეს დასკვნებამდე მიიყვანს.

* * *

აღვნიშნავთ, რომ Q673-ში თითოეული ხმის ანტიფონს წინ უძღვის ამავე ხმის „დიდება შენდა“, რომლებიც რეფრენულად იგალობება ანტიფონების პირველი ორი ჰიმნის წინ. 8 ხმის „დიდება-ან და“ კი, უშუალოდ ანტიფონებთან მოცემული არაა, თუმცა, როგორც Q673-ში, ისევე ქორიძე-კერესელიძისეულ სხვა ხელნაწერებშიც რამდენჯერმეა მოცემული 8 ხმის „დიდება-ან და“ და მათი შესრულება ანტიფონებთან სავსებით შესაძლებელია.

„კარბელაანთ“ ტრადიციის ანტიფონებთან 8 ხმის „დიდება შენდა“ მოცემული არაა — არც „ცისკარში“ და არც ხელნაწერებში. თუმცა, ხელნაწერებში თვითხმოვანი „დიდება შენდა“-ს ვარიანტები გვხვდება, რომლებიც ანთოლოგიის XI ტომში 48—50 ნომრებადაა დაბეჭდილი. ამასთან, „ცისკარში“ თითოეულ ანტიფონთან მისივე ხმის „დიდება-ან და“-ა მოცემული.

* * *

აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს სამგალობლო ტრადიციების ცისკრის ანტიფონების მელოდიური და კილოური მსგავსება-განსხვავების შესახებ, აღვნიშნავთ:

I ხმის ანტიფონების (აღსავლების) კარბელაშვილთა და ქორიძე-კერესელიძისეული მელოდიები ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

II ხმის აღსავლების კარბელაშვილთა და ქორიძე-კერესელიძისეული მელოდიები ერთ მელოდიურ არქეტიპს ეფუძნებიან. ამ ორი ტრადიციის ნიმუშებს შორის მელოდიური კონტურის მსგავსება მაღალი ხარისხისაა.

III ხმის ანტიფონების „კარბელაანთ“ და Q673-სეული მელოდიებიც ერთ ინვარიანტზე არიან დაფუძნებული. თუმცა, II ხმისაგან განსხვავებით, მათ შორის

³ ნაშრომი დაცულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში.

მსგავსება უფრო ნაკლებია და ძირითადად მუხლების საწყის ნაგებობებში ვლინდება. ამასთან, ორივე შემთხვევაში მუხლებში აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული სამგალობლო ტრადიციებისათვის ნიშანდობლივი, სტერეოტიპული მცირე იუბილაციური კადანსებია გამოყენებული, რომლებიც კილოური მიხრილობითაც და მელოდიური მიმოხვრითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (საერთო მხოლოდ საწყისი პუნქტირული რიტმი აქვთ).

IV ხმის ანტიფონების მელოდიური არქეტიპი ქართლ-კახურ და დასავლურ-ქართულ ანტიფონებს იდენტური აქვთ.

V ხმის აღსავლების როგორც ქართლ-კახური, ისე — დასავლეთ საქართველოს ნიმუშები ერთ მელოდიურ ინვარიანტს ეფუძნებიან. მათ შორის მსგავსება ძირითადად მელოდიურ კონტურსა და სინტაქსურ ნაგებობათა საწყის ნაგებობებში ვლინდება.

აღსანიშნავია, რომ კარბელაშვილთა მიერ ნოტირებულ მასალაში, სხვაობს V ხმის ანტიფონის მელოდიაზე დაფუძნებულ საგალობელთა I მუხლების კილოური მიხრილობა — „ცისკარსა“ და ხელნაწერებში ამ ნიმუშების უმრავლესობა მინორული სამხმოვანებით იწყება, ხოლო ზოგიერთი ნიმუში — მაჟორული სამხმოვანებით. ქართლ-კახური გალობის ამ თავისებურებაზე ჩვენ ანთოლოგიის I—IV ტომებშიც ვსაუბრობდით.

VI ხმის I ანტიფონის მელოდიების დასავლურ და აღმოსავლურ ქართული ვარიანტები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად სხვაობს.

VII ხმის Q673-ში მოცემული ცისკრის VII ხმის ანტიფონები ქართლ-კახურისაგან განსხვავებულ მელოდიებს ეფუძნება. ერთი და იგივე დასახელებისა და პოეტური ტექსტების მქონე გელათ-მარტვილისა და სვეტიცხოვლის სკოლების ჰიმნებში, ერთმანეთს ემთხვევა ცეზურათა უმრავლესობა (ასევე, „პარაკლიტონისეულ“ ცეზურებსაც). ამის იქით, ამ ორი წყაროს VII ხმის ანტიფონების მელოდიებს შორის მსგავსება თითქმის არაა. შესაძლოა რამდენჯერმე დავინახოთ მსგავსება ისეთ დეტალებში, როგორცაა მელოდიის მცირე სეგმენტთა მიმართულება, ზოგიერთი მიკრომოტივის ადგილი და მიმართება პოეტური ტექსტის მარცვლებთან, კვინტური და უნისონური ფინალისების მქონე მუხლების რიგი კომპოზიციაში.

VIII ხმის ანტიფონების კარბელაშვილისეული და ქორიძე-კერესელიძისეული ვარიანტების მელოდიები ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

* * *

რვა ხმის ცისკრის II, III და IV ანტიფონთა განყოფილას, მნიშვნელოვანი იყო დაკვირვება ანტიფონის შემადგენელ ჰიმნთა მელოდიების მსგავსება-განსხვავებაზე როგორც კარბელაშვილისეულ, ასევე ქორიძე-კერესელიძისეულ მასალაში.

კარბელაშვილის „ცისკარში“ მოცემული ანტიფონებიდან ზოგიერთში (კერძოდ, II, III, V, VIII ხმების ნიმუშებში) ყველა ჰიმნი ერთსა და იმავე ჰანგს ეფუძნება (ცხადია,

თითოეული ხმის ანტიფონს სხვა ხმების ანტიფონებისაგან განსხვავებული მელოდია აქვს), ზოგიერთში კი, ბოლო — სული წმიდისადმი მიძღვნილი საგალობელი, I-II ჰიმნებისაგან განსხვავებულ მელოდიაზეა განწყობილი (I, IV, VI, VII ხმების ანტიფონებში).

კერესელიძის ხელნაწერ Q673-ში, I, II, III და V ხმების ანტიფონებში I, II და III ჰიმნებს იდენტური მელოდიები აქვთ.

ამასთან, Q673-ში მრავალფეროვნების კიდევ უფრო მეტი შემთხვევებია IV, VI, VII და VIII ხმის ანტიფონებში:

IV ხმის II და III ანტიფონები დაფუძნებულია I ანტიფონის ბოლო ჰიმნის „სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ იქმნების“ მელოდიაზე. ამასთან, Q673-ში IV ხმის ანტიფონების როგორც შედარებით „სადა“, ასევე „გამშვენებული“, მელიზმატიკურ-პოლიფონიზებული ვარიანტებია მოცემული.

VI ხმის I ანტიფონში I-II ჰიმნები იდენტურ მელოდიაზე არიან დაფუძნებულნი. III, სული წმიდის ჰიმნი — განსხვავებულ მელოდიაზეა განწყობილი. ეს მელოდია გვხვდება ქორიძის მიერ ნოტირებულ „გამშვენებულ“ და „ჭრელის“ შემცველ „იხარებს სული შენი“-ში (ქორიძე, 1895:11; ანთ. I ტომი, №5), ასევე — VI ხმის IX გალობის ძლისპირში „სტუმრობისა საღმრთოსა“ (Q689:203; ანთ. VIII ტომი, №188), და აგრეთვე — „ჭრელის“ შემცველ *თვითხმოვან* დასდებელში „ყოველი სასოება მათი დასდევს“ (Q684:5; ანთ. VI ტომი, №4). VI ხმის II ანტიფონის სამივე ჰიმნი, Q673-ში I ანტიფონისაგან სავსებით განსხვავებულ ერთ მელოდიაზეა დაფუძნებული, III ანტიფონის სამივე ჰიმნს კი — I ანტიფონის I—II საგალობლების მელოდია აქვთ.

აღსანიშნავია, რომ კარბელაშვილისეულ I ანტიფონის III ჰიმნად, Q673-ის მსგავსად, VI ხმის ძლისპირთა მელოდიის მქონე საგალობელია მოცემული „ცისკარში“, თუმცა, „ცისკრისეულ“ მელოდიას მხოლოდ იხოსის ნომერი აქვს საერთო Q673-სეულ სული წმიდის ჰიმნთან.

VII ხმის I ანტიფონში, III ჰიმნის მელოდია სხვაობს I-II ჰიმნების ჰანგისაგან. II ანტიფონში სამივე ჰიმნი ერთ მელოდიაზეა დაფუძნებული. ამასთან, ამ საგალობლების სანყისი მუხლების ჰანგები ემთხვევა I ანტიფონის III ჰიმნის სანყისი მუხლების მელოდიას, რომელთაც მოსდევს I ანტიფონის I-II ჰიმნების I მუხლების მელოდიები. დამაბოლოებელი მუხლები VII ხმის ყველა ანტიფონის ყველა ჰიმნს საერთო აქვს (რა თქმა უნდა, ვარიანტული ცვლილებებით). III ანტიფონში I ჰიმნი წინა ანტიფონების ჰიმნთა მუხლების ჰანგებითაა აკინძული (მათგან განსხვავებული კომბინაციით, ემთხვევა მხოლოდ I მუხლის დასანყისი და ფინალური მუხლი). III ანტიფონის II-III ჰიმნები კი, ეფუძნებიან, I ანტიფონის III ჰიმნის ვარიანტულად შეცვლილ მელოდიას. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ VII ხმის ქორიძე-კერესელიძისეულ ანტიფონებს

იდენტურ მელოდიურ-კომპოზიციურ სეგმენტთა კომბინირების უფრო მეტი იმპროვიზაციულობა გამოარჩევს, სხვა ხმების ანტიფონებთან შედარებით.

„პარაკლიტონში“ მოცემული VIII ხმის ანტიფონების რაოდენობა, დანარჩენი ხმებისაგან განსხვავებით, არა სამი, არამედ — ოთხია. ხელნაწერ Q673-ში ყველა მათგანია დაფიქსირებული. Q673-ში მოცემული დასავლურ-ქართული VIII ხმის ანტიფონები, დანარჩენებისაგან ყველაზე მეტი მელოდიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა: I ანტიფონში სამივე ჰიმნი ერთ მელოდიას ეფუძნება. II ანტიფონში — I ჰიმნი I ანტიფონის ჰიმნთა მელოდიაზეა განწყობილი, II და III ჰიმნები კი, მისგან და ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჰანგებზე. III ანტიფონის I ჰიმნს II ანტიფონის II ჰიმნის მელოდია აქვს, II ჰიმნს — I ანტიფონის ჰიმნთა, III ჰიმნს — II ანტიფონის III ჰიმნის მსგავსი. IV ანტიფონის I-II ჰიმნები კვლავ I ანტიფონის ჰიმნთა ჰანგზეა განწყობილი, ხოლო III ჰიმნი — II-III ანტიფონთა III ჰიმნების მელოდიაზე.

აღსანიშნავია, რომ მუხლების და ცეზურების რაოდენობა IV, VI, VII და VIII ხმის ქორიძე-კერესელიძისეულ და „პარაკლიტონის“ ანტიფონებს შორის, უმრავლეს შემთხვევებში იდენტურია და სხვაობს ამავე წყაროებისა და ხმების I ანტიფონების მუხლთა და ცეზურათა რაოდენობისაგან — ანუ, „პარაკლიტონშიც“ ასახულია ამ ხმების I ანტიფონების მელოდიურ-კომპოზიციური სხვაობა დანარჩენი ანტიფონებისაგან. ამის მიუხედავად, ქართლ-კახური 8 ხმის საცისკრო II—IV ანტიფონების განწყობისას, ჩვენ ვერ გავყევით ქორიძე-კერესელიძის მიერ ნოტირებული ანტიფონების მელოდიური მრავალფეროვნების პრინციპს, ვინაიდან, მათი იდენტური მელოდიები „კარბელაანთ“ გალობის ჩანაწერებში არ იძებნება. ამიტომ, რვავე ხმაში, I ანტიფონების ჰანგებზე გავანყვეთ დანარჩენი ანტიფონები.

გამოყენებული ლიტერატურა და სანოტო კრებულები

1. კარბელაშვილი, ვასილ (სტეფანე) (1897). *ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“, „მწუხრი“*. ნოტებზე გადაღებული მღვდელი ვასილ კარბელაშვილის მიერ, პირველი ნაწილი. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
2. კარბელაშვილი, ვასილ (სტეფანე) (1898). *ქართლ-კახური გალობა, „კარბელაანთ კილოთი“, „ცისკარი“*. ნოტებზე გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ. მეორე ნაწილი. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
3. *პარაკლიტონი* (1822). მოსკოვი: სინოდალური სტამბა (ქართულად).
4. სამხარაძე, ნინო, (2019). *„შეხვეტილიანი“ — ვნების პარასკევის ცისკრის დასდებლები ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (ისტორიული და მუსიკალურ-*



ლიტურგიკული ასპექტები). სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

5. ქორიძე, ფილიმონ (1895). *ქართული გალობა: ლიტურგია იოანნე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელთმთავრისათვის, გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭლაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძის და ივლიანე ი. ნერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1.* ტფილისი: მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტამბა.

გამოყენებული სანოტო ხელნაწერები და არქივები

1. კერესელიძე, ექვთიმე Q673. *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი.* ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
2. კერესელიძე, ექვთიმე Q684. *წიგნი მეცხრე, ოზურგეთში დაწერილი სძლისპირთა საგალობელნი, ანტონ დუმბაძისაგან გადაცემული.* ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
3. კერესელიძე, ექვთიმე Q689. *წიგნი 14. სძლის-პირთა საგალობელნი.* ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
4. მოლოდინაშვილი, დავით *ქართული გალობა სამის ხმითა.* ხელნაწერი კრებული. ინახება ლუარსაბ ტოგონიძის პირად არქივში.
5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილებისა და მათი მოსწავლეების ხელნაწერები: პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივი, ფონდი №1461. №188—218 საქმეები.
6. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერები: პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივი, №2099, 2110, 2111, 2112, 2113 ხელნაწერები (მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ძმები კარბელაშვილებისაგან (ან, სავარაუდოდ, მხოლოდ პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან) ჩანერილი საგალობლები).
7. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის ხელნაწერები: კარბელაშვილი ვასილ, სანოტო ხელნაწერთა ფონდი. კარბელაშვილის პირადი ფონდი №264.

Introduction

The printing of the chants for the vigil service of the Karbelashvili tradition is continued in Anthology Volume 11. Here, the chants for Matins and First Hour have been included (beginning with the megalynaria for various feast days and including “To Thee the Champion Leader”). The chants provided in the current volume have been taken from the Karbelashvilis’ “Matins”, Stephane and Polievktos Karbelashvili’s notated manuscript archives, and the manuscripts of Mikheil Ipolitov-Ivanov and Davit Molodinashvili.

The works taken from the manuscripts are being published for the first time. A new publication of the greatest portion of the “Matins” repertoire is taking place for the first time since 1898.

Regarding the peculiarities of the chants shown in the present volume and their sources, see the introduction to the Anthology (Anthology, Georgian Chant, Vol. 1) and the joint introduction for Volumes 10-11 printed in Volume 10.¹

Here, however, is some commentary about a number of chants printed in Volume 11:

1) It is noted in “Matins” (Karbelashvili, 1898:156) after the prokeimenon in tone 7 (Vol. 10 #223): “There should be a hypakoe and kontakion here.” Stemming from reasons unknown to the editors, the kontakion and hypakoe in tone 7 have not been provided in “Matins”. Unfortunately, hymns containing the melody or text of the kontakion and hypakoe in tone 7 were unable to be found in any source of Kartl-Kakhetian chant. Thus, Kartl-Kakhetian examples of the kontakion and hypakoe in tone 7 can be considered as being forever lost. This is why the editors had to restore these chants by resorting to an experimental method - modifying and arranging the melody of P. Koridze’s kontakion in tone 7 “The Strength of Death Is No Longer Mighty”² (Q673:745) in the style of Kartl-Kakhetian chant and adapting the second and bass voices to it. Samples #46 and 175 in Volume 11 are done in the same way. In order to impart an intonational appearance typical of Kartl-Kakhetian chant, the modal aspect of some motivic structures has also been altered along with the transformation of certain micro-melodic segments.

It will be noted that the kontakion in tone 7 has not survived in the sparse heritage of the so-called Shemokmedi school chant tradition either. In the Koridze-Kereselidze manuscripts, however, a comparatively few number of kontakia and hypakoes in tone 7

¹ It must be especially stressed and recalled that all the musical graphical symbols placed in parentheses in Volumes 10-11 (notes, accidentals, commas indicating caesuras, fermatas) have been added by the editors and it is not obligatory to perform them.

² Only a few kontakia in tone 7 have been shown in the sketches of Koridze and Kereselidze. These are the kontakia for Easter, Transfiguration, and Great Saturday. The latter is a “chreli” chant and has a melody different from the other two. The kontakia in tone 7 for Easter and the Transfiguration have related melodies. Moreover, the kontakion for the Transfiguration represents an ornamented, melodically, polyphonically transformed variant of the Easter kontakion.

have been preserved. In comparison to the Karbelashvili tradition (according to which hypakoes and kontakia are based on identical melodies), the hypakoes and kontakia in the Koridze-Kereselidze heritage have different melodies. Like other Kartli-Kakhetian hypakoes, the hypakoe in tone 7 has been arranged by the editors to the melody of a kontakion in the same tone (not that of the Koridze-Kereselidze hypakoes).

2) The antiphon for the service of Matins is a micro-cyclic chant of the eight tone system. Each antiphon consists of 2 small hymns (which are preceded by “Glory to Thee Our God, Glory to Thee”), “Glory, Now and Ever” and the last hymn, which as a rule, is dedicated to the Third Person of the Most Holy Trinity, the Holy Spirit, and conveys a church teaching (it is chanted two times after “Glory” and “Now and Ever”). Clearly stemming from the title, this small cycle is performed antiphonally.

Only the first antiphons for Matins in the eight tones are printed in “Matins” (Karbelashvili, 1898:188-212). In manuscripts reflecting the Eastern Georgian chant tradition, only the first antiphons for Matins in the eight tones are shown. It was supposedly implied that the remaining antiphons were to have been performed to the music of the first antiphon.

This is why a decision was made to publish the poetic texts of the 2nd and 3rd antiphons for Matins in the eight tones in a notated form and arrange them to the music of the 1st antiphon shown in “Matins”. The *Octoechos* (*Parakliton* in Georgian) published in 1822 was used as the source for the antiphons’ poetic texts. When restoring and arranging the antiphons, the editors were guided by the antiphons printed in “Matins”, the caesuras of antiphons shown in the *Octoechos*, and the antiphons notated in E. Kereselidze’s manuscript Q673.

Some of the antiphons belonging to the Karbelashvilis and to Koridze-Kereselidze have a melody based on a general archetype. Various other kinds of similarities are manifested between them, with the antiphons of certain tones however, being based on completely different melodies. In the case of a melodic likeness, the modal turns of antiphon verses by the Karbelashvilis and in Q673 are basically different.

Observation showed that the musical caesuras in a majority of antiphons extant in “Matins” correspond to the commas shown in the *Octoechos*. Verbal, semantic caesuras are not conveyed by the latter in the *Octoechos* (from a semantic or grammatical standpoint, they are quite frequently placed in strange spots) and are clearly indicators of the chants’ musical caesuras, of the boundaries of a chant’s musical, syntactic units. It is salient that the caesuras of the *Octoechos* and the Karbelashvilis’ “Matins” mostly correspond to the caesuras of all the matinal antiphons (Q673, 522-614) extant in chant manuscript Q673 notated by P. Koridze and E. Kereselidze - even in the cases when the melodies notated by Karbelashvili and Koridze are related or identical and also when they are based on wholly

different melodies. The musical caesuras come after the same word in most cases and coincide with the caesuras expressed by commas in the *Octoechos*.

It is made apparent by the aforementioned that the commas shown sparingly in the form of musical caesuras in the liturgical hymnographic collections of the 18th-19th centuries reflect the melodic, compositional peculiarities of chants notated in the 19th century.

Stemming from this, it will be important to compare the liturgical hymnographic collections of even earlier periods - of various stages of the Middle Ages and of the 18th-19th centuries. If the compositional, syntactic division of the chants in them turn out to have some mutual similarities, clearly this will be proof that the poetic texts presented within them were chanted to the same single melodic material. This will be yet one more argument for the unbroken tradition and melodic nature of Georgian chant. By the way, as regarding many other questions, S. Karbelashvili has expressed some salient ideas in this aspect as well. He noted that in the medieval chant manuscripts, “the punctuation and voice leading shown in those [notated] chants almost originate from there... Here, this and many other signs give us all the evidence of the antiquity of this chant and not that it is something newly contrived (Karbelashvili, 1897:III)”.

The editors had already finished the present work (yet not published it) when Nun Nino Samkharadze substantiated the connection between the “cut-off” signs of hymnographic texts and the musical caesuras of notated chants in her masters dissertation (Samkharadze, 2019). As the result of a comparison of 11th-18th century codices of *Shekhvetiliani* and notated manuscripts, the scholar reaches a very significant conclusion - the “cut-off” signs given in old texts show the boundaries of structural units making up a chant - verses and page turns - and accordingly, musical caesuras of various lengths. This discovery is taken by the author to a fair conclusion: the concurrence of the musical caesuras of chants notated in the 19th century with the “cut-off” signs of the same texts shown in 11th-18th century sources proves that the same melodies are graphically shown in them (clearly with the allowance of some slight variant alterations).

The outcome obtained through the comparative analysis carried out by N. Samkharadze is a very significant argument for the unbroken tradition of Georgian chant and it logically substantiates the ancient origins of the melodic archetypes of *Shekhvetiliani* (and as it seems, not only of the chants of this cycle) - from the 11th, and in some cases, however, from the 8th century.³ The editors think that further research in this direction will take Georgian musicology to a very important conclusion.

* * *

³ The dissertation is kept in the Tbilisi State Conservatoire Library.

It will be noted that the antiphon in each of the tones in Q673 is preceded by a “Glory to Thee” in the same tone, which are sung as a refrain before the first two antiphon hymns. The “Glory, Now and Ever” in the eight tones however, are not directly shown with the antiphons, yet like in Q673, as well as in the other Koridze-Kereselidze manuscripts, “Glory, Now and Ever” in the eight tones has been provided a number of times and it is entirely possible to perform them with the antiphons.

“Glory to Thee” in the eight tones is not shown with the antiphons of the “Karbelaant” tradition - neither are they in “Matins” or in the manuscripts. Yet some variants of “Glory to Thee” in an independent tone are encountered in the manuscripts, which have been printed as #48-50 in Anthology Volume 11. Moreover, “Glory, Now and Ever” is shown with each antiphon in “Matins” with the respective tone.

* * *

In regard to the melodic and modal similarities and differences of the matinal antiphons of the Eastern and Western Georgian chant traditions, it will be mentioned:

The melodies of antiphons in **tone 1** of the Karbelashvili and Koridze-Kereselidze traditions are different from each other.

The melodies of antiphons in **tone 2** of the Karbelashvili and Koridze-Kereselidze traditions are based on one melodic archetype. The similarity of the melodic contours between the works of these two traditions are high.

The melodies of antiphons in **tone 3** of the Karbelashvili and Q673 traditions are based on a single invariant. Yet in comparison to tone 2, there is a little less of a semblance between them, with it basically appearing in the beginning structures of the verses. Moreover, in both cases, some stereotypical, slightly festive cadences characteristic of the Eastern and Western Georgian chant traditions are used, where they differ from each other with modal variations and melodic turns (they only share a beginning, dotted rhythm).

The antiphons of **tone 4** of the Kartl-Kakhetian and Western Georgian traditions have an identical melodic archetype.

Kartl-Kakhetian as well as Western Georgian examples of antiphons in **tone 5** are based on a single melodic invariant. The resemblances between them are primarily shown in the melodic contour and the beginning structures of syntactic units.

It must be indicated that in the material notated by the Karbelashvilis, the modal variations of the first verses of the chants based on the tone 5 antiphon melody differ - the majority of these works in “Matins” and the manuscripts begin with a minor triad, whereas some examples begin with a major triad. This peculiarity of Kartl-Kakhetian chant was discussed in Volumes 1-4 of the Anthology.

The Western and Eastern Georgian variants of the melodies of antiphons in **tone 6** differ significantly from each other.

The antiphons in **tone 7** for Matins given in Q673 are based on melodies different from the Kartl-Kakhetian ones. A majority of the caesuras in hymns of the Gelati-Martvili and

Svetitskhoveli schools having the same title and poetic texts coincide with each other (as well as the caesuras of the *Parakliton*). Beyond this, there is almost no similarity among the antiphon melodies in tone 7 of these two sources. It might be possible a number of times to see such details like the progression of minor melodic segments, the location of some micro-motifs, the relation to the syllables of the poetic text, and the array of verses having quintal or unison finals in the composition.

The melodies of the Karbelashvili and Koridze-Kereselidze variants of antiphons in **tone 8** differ from each other.

* * *

When arranging the 2nd, 3rd, and 4th antiphons in the eight tones, it was important to observe the similarities and differences of the melodies making up the antiphons in the Karbelashvili as well as in the Koridze-Kereselidze material.

Some of the antiphons shown in the Karbelashvili's "Matins" (particularly those in tones 2, 3, 5, and 7) are based on one and the same melody (clearly with a different melody for each of the tones). In some of them, however, the last chant dedicated to the Holy Spirit is arranged to a different melody than the one in the 1st and 2nd hymns (the antiphons in tones 1, 4, 6, and 7).

In Kereselidze's manuscript Q673, the 1st, 2nd, and 3rd hymns have an identical melody for the antiphons in tones 1, 2, 3, and 5.

Moreover, there are even more occurrences of diversity in Q673 in the antiphons in tones 4, 6, 7, and 8.

The 2nd and 3rd antiphons in **tone 4** are based on the melody of the last hymn of the first antiphon "Every Spirit Shall Be Made Alive Through the Holy Spirit". Additionally, there are relatively "simple" (*sada*), as well as "ornamented" (*chreli*), melismatic, polyphonic variants of antiphons in tone 4 shown in Q673.

The 1st and 2nd hymns of the 1st antiphon in **tone 6** are based on an identical melody. The third one, a hymn to the Holy Spirit - is arranged to a different melody. This melody is encountered in an ornamented version of "Thy Spirit Rejoices" (Koridze, 1895:11, Anth. Vol. 1, #5) notated by Koridze, in the heirmos "At The Divine Visitation" of Canticle 9 in tone 6 (Q689:203, Anth. Vol. 8, #188), as well as in an ornamented idiomelon sticheron "They Have Placed All Their Hope" (Q684:5, Anth. Vol 6, #4). All three hymns of the 2nd antiphon in tone 6 are based on a melody completely different from the first antiphon in Q673. All three hymns of the 3rd antiphon however have the melodies of the first and second hymns of the first antiphon.

It must be noted that a chant having a heirmos melody in tone 6 like that in Q673 is given as the third hymn of the 1st antiphon by Karbelashvili in "Matins", yet the Matins melody only shares the number of the tone with the Holy Spirit hymn of Q673.



In the 1st antiphon in **tone 7**, the melody of the 3rd hymn is different from the one for the first and second hymns. All three hymns of the 2nd antiphon are based on one melody. Moreover, the melodies of the beginning verses of these chants coincide with the melody of the beginning verses of the 3rd hymn of the first antiphon. The melodies of the first verses of the 2nd-3rd hymns of the first antiphon follow them. Every hymn of every antiphon in tone 7 shares the same ending verses (of course, with variant alterations). The first hymn of the third antiphon is bound up with the verse melodies of the hymns of previous antiphons (with some different combinations than them, only the beginning of the first verse and the final verse coincide with them). The 2nd and 3rd hymns of the third antiphon, however, are based on a variant alteration of the melody of the third hymn for the first antiphon. In all, it can be said that Koridze-Kereselidze antiphons in tone 7 are distinguished by more improvised combinations of identical melodic, compositional segments in comparison to antiphons in other tones.

The number of antiphons in **tone 8** given in the *Octoechos* is four and not three, in comparison to the other tones. Every one of them is attested in manuscript Q673. The Western Georgian antiphons in tone 8 shown in Q673 are exemplary with even more melodic diversity than the others: all three hymns of the first antiphon are based on one melody. The first hymn of the second antiphon is arranged to the melody of the hymns of the first antiphon, with the 2nd and 3rd hymns, however, being arranged to melodies different from themselves and the first one. The first hymn of the 3rd antiphon has the melody of the second hymn of the 2nd antiphon, the second hymn has the melody of the first antiphon hymns, and the third hymn has a melody like the third hymn of the 2nd antiphon. The first and second hymns of the 4th antiphon are again arranged to the melody of the first antiphon hymns, whereas the third hymn is arranged to the melody of the 3rd hymns of the 2nd and 3rd antiphons.

It must be noted that the number of verses and caesuras among the Koridze-Kereselidze and *Octoechos* antiphons in tones 4, 6, 7, and 8 are identical in most cases and is different from the number of verses and caesuras of the 1st antiphons in the same sources and tones. In other words, the melodic, compositional discrepancies of the first antiphons from the remaining antiphons in these tones are also reflected in the *Octoechos*. Despite this, when arranging the 2nd-4th Kartl-Kakhetian antiphons in the eight tones for Matins, the editors were unable to follow the principle of melodic diversity of the antiphons notated by Koridze-Kereselidze, since their identical melodies are not found in the notated manuscripts of “Karbelaant” chant. This is why the remaining antiphons were arranged to the melodies of the first antiphon in the eight tones.



Works and Notated Collections used

1. Karbelashvili, Vasil (Stephane) (1897). *Kartl-Kakhetian Chant in the "Karbelaant" Mode: "Vespers"*. Notated and printed by Priest Vasil Karbelashvili son of Grigol, Part 1. Tbilisi: M. Sharadze and Co. Printing Press (in Georgian).
2. Karbelashvili, Vasil (Stephane) (1898). *Kartl-Kakhetian Chant in the "Karbelaant" Mode: "Matins"*. Notated and printed by Priest Vasil Karbelashvili son of Grigol, Part 2. Tbilisi: M. Sharadze and Co. Printing Press (in Georgian).
3. Koridze, Philimon (1895). *Georgian Chant: St. John Chrysostom's Divine Liturgy for Priests and Bishops*. Reproduced by Philimon I. Koridze, handed over by Anton N. Dumbadze, Dimitri R. Chalaganidze, Arch-deacon Razhden Khundadze and Ivliane Tsereteli. Several chants handed over by Melkisedek G. Nakashidze and Priest Nestor E. Kontridze. Score #1. Tbilisi: Production and printing by Maxime Sharadze (in Georgian).
4. *Parakliton* (1822). Moscow: Synodal Publishing Press (in Georgian).
5. Samkharadze, Nino (2019). *"Shekhvetiliani" - The Stichera of Holy Friday Matins in Georgian Liturgical Practice (Historical and Musical-Liturgical Aspects)*. Master's Thesis. Tbilisi: V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (in Georgian).

Archives and Notated Manuscripts Used

1. Kereselidze, Ekvtime Q673. *Chants for Vespers in the Eight Tones to be used for the Entire Year*. Abbot Ekvtime Kereselidze's Manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
2. Kereselidze, Ekvtime Q684. *Book 9, Heirmoi, written in Ozurgeti, handed over by Anton Dumbadze*. Abbot Ekvtime Kereselidze's Manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
3. Kereselidze, Ekvtime Q689. *Book 14, Heirmoi*. Abbot Ekvtime Kereselidze's Manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.
4. Molodinashvili, Davit. *Georgian Chant in Three Voices*. Manuscript collection kept in Luarsab Togonidze's personal archive.
5. Manuscripts belonging to Polievktos and Philimon Karbelashvili and their students kept in the Central Archive at the Georgian Ministry of Justice: Polievktos Karbelashvili's personal archive, fund #1461. Cases #188-218.
6. Mikheil Ipolitov-Ivanov's manuscripts kept in the State Center of Folklore: Polievktos Karbelashvili's archive, manuscripts #2099, 2110, 2111, 2112, 2113 (chants written down by Mikheil Ipolitov-Ivanov from the Karbelashvili brothers (or supposedly from Polievktos Karbelashvili).
7. Stephane (Vasil) Karbelashvili's manuscripts kept at the National Center of Manuscripts: Karbelashvili Vasil, Notated Manuscript Fund. Karbelashvili's personal fund #264.



ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	f <u>a</u> ther	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	<u>b</u> less	
გ	g	/g/	<u>g</u> iven	
დ	d	/d/	<u>d</u> ay	
ე	e	/ɛ/	s <u>e</u> t	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	<u>v</u> et	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	<u>z</u> enith	
თ	t	/t ^(h) /	<u>t</u> oday	
ი	i	/i/	<u>m</u> ee <u>t</u>	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	<u>p</u> ick	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	<u>l</u> ife	
მ	m	/m/	<u>m</u> entor	
ნ	n	/n/	<u>n</u> ew	
ო	o	/ɔ/	<u>g</u> o	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	<u>u</u> p <u>k</u> ee <u>p</u>	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/z/	plea <u>s</u> ure	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	<u>s</u> ee	
ტ	t'	/t'/	<u>s</u> i <u>t</u> com	non-aspirated "t"
უ	u	/u/	<u>r</u> oo <u>t</u>	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/p ^(h) /	<u>p</u> ilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k ^(h) /	<u>c</u> all	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ღ	gh	/ɣ/	Pa <u>r</u> is	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	<u>s</u> hine	
ჩ	ch	/tʃ ^(h) /	<u>c</u> h <u>o</u> ose	
ც	ts	/ts ^(h) /	<u>s</u> e <u>t</u> s	
ძ	dz	/dz/	<u>n</u> o <u>d</u> s	
წ	ts'	/ts'/	<u>s</u> i <u>t</u> s near	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	<u>m</u> u <u>c</u> h noise	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/x/	Ba <u>ch</u>	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჯ	j	/dʒ/	<u>j</u> oy	
ჰ	h	/h/	<u>h</u> ymn	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)



სადიდებლები 1) 2) 3)

Megalynaria

1. შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა
Nativity of the Most Holy Mother of God

გა - დი - დებთ შენ, ყო - ვლად წმი -
გა - დი - დებთ შენ, ყო - ვლად წმი -
ga - di - debt shen, qo - vlad ts'mi -

და - ო ქა - ღწუ - ლო, და პა - ტივს-ვსცემთ
და - ო ქა - ღწუ - ლო, და პა - ტივს-ვსცემთ
da - o ka - lts'u - lo, da p'a - t'ivs - vstsemt

1) №1 და 3—26 საგალობლები ჩვენი განწყობილია №2-ის მუსიკაზე, „ცისკარში“ მოცემული სტ. კარბელაშვილის მითითებათა (იხ. კარბელაშვილი, 1898:VIII) შესაბამისად და კარბელაშვილთა ხელნაწერებში არსებული სადიდებლების („გადიდება“-თა) მიხედვით.

2) „ცისკარში“ ნოტირებულია მარტო №2, ჯვართამაღლების სადიდებელი (კარბელაშვილი, 1898:175), ხოლო №1—23 სადიდებლები მხოლოდ პოეტური ტექსტებითაა მოცემული (კარბელაშვილი, 1898:VIII—XIII).

3) №1—26 ნიმუშები ანტიფონური და რესპონსორული ფორმის მიკრო-ციკლური საგალობლებია: ისინი შედგება რეფრენული „გადიდებთ შენ“-ისაგან და ფსალმუნის 2 მუხლისაგან და „დიდება-ან და; ალილუია“-საგან, რომელთაც ყველა ჯერზე რეფრენულად ერთვის „გადიდებთ შენ“. ამასთან, კარბელაშვილთა „ცისკარსა“ და მათი ტრადიციის ხელნაწერებში ჩანს, რომ ფსალმუნის მუხლების II ნაწილებიც მეორდება „გადიდებთ შენ“-ის გალობამდე. ამ მიკრო-ციკლის ანტიფონური გადანაწილება გუნდებს შორის, სურვილისამებრ, სხვადასხვანაირადაა შესაძლებელი.

1) Chants #1 and 3-26 have been arranged by the editors to the music of #2 in accordance with the indications provided by S. Karbelashvili (see Karbelashvili, 1898:VIII) in "Matins" and with the extant megalynaria in the Karbelashvili manuscripts.

2) Only #2, the megalynarion for the Elevation of the Cross, is notated in "Matins" (Karbelashvili, 1898:175), whereas those numbered 1-23 are only shown with the poetic text (Karbelashvili, 1898:VIII-XIII).

3) Works #1-26 are micro-cyclic chants in an antiphonal and responsorial form: they consist of the refrain "gadidebt shen" (The Megalynarion), 2 Psalm verses, Glory, Now and Ever, and an Alleluia, with "gadidebt shen" sounding as the refrain each time. Moreover, it is evident in the Karbelashvili "Matins" and the manuscripts of their tradition that even the second part of the Psalm verses is repeated until "gadidebt shen" is chanted. The antiphonal distribution of this micro-cycle among choirs has varying possibilities according to one's desire.



ნმი - და - თა მშო - ბე - ლთა შე - ნთა, და ყო - ვლად -
 ნმი - და - თა მშო - ბე - ლთა შე - ნთა, და ყო - ვლად -
 ts'mi - da - ta msho - be - lta she - nta, da qo - vlad -

ნმი - და - სა შო - ბა - სა შე - ნსა ვა - დი - - -
 ნმი - და - სა შო - ბა - სა შე - ნსა ვა - დი - - -
 ts'mi - da - sa sho - ba - sa she - nsa va - di - - -

- - - - - დებთ!
 - - - - - დებთ!
 - - - - - debt!



1.)

მო - ი - ხსე - ნე, უ - ფა - ლო, და - ვით და ყო - ვე - ლი სი - მშვი -
 მო - ი - ხსე - ნე, უ - ფა - ლო, და - ვით და ყო - ვე - ლი სი - მშვი -
 mo - i - khse - ne, u - pa - lo, da - vit da qo - ve - li si - mshvi -

დე მი - სი! და ყო - ვე - ლი სი - მშვი - დე
 დე მი - სი! და ყო - ვე - ლი სი - მშვი - დე
 de mi - sil da qo - ve - li si - mshvi - de

მი - სი!
 მი - სი!
 mi - sil

2) გადიდებთ შენ
gadidebt shen

2.

მო - ვი - ხსე - ნო სა - ხე - ლი შე - ნი ყო - ვე - ლსა შო - რის თე - სლსა
 მო - ვი - ხსე - ნო სა - ხე - ლი შე - ნი ყო - ვე - ლსა შო - რის თე - სლსა
 mo - vi - khse - no sa - khe - li she - ni qo - ve - lsa sho - ris te - slsa

1) დედანში (კარბელაშვილი, 1898:VIII—XIII) №1—23 ჰიმნების ფსალმუნურ ტექსტებში შეცდომებია. ისინი ჩვენ გავასწორეთ.
 2) №1—26 ნიმუშებში, ფსალმუნის ორივე მუხლისა და „დიდება—ანდა“-ს შემდეგ უნდა შესრულდეს „გადიდებთ შენ“. მისი შესრულება დასაშვებია ყოველ ჯერზე 1 ტონით ზემოთაც, ე. ი. ფსალმუნის მუხლის I ხმის ფინალისის სიმაღლიდან.
 1) In the original source (Karbelashvili, 1898:VIII—XIII) there are some errors in the Psalm texts of chants #1-23. They have been corrected by the editors.
 2) "Gadidebt shen" (The Megalynarion) must be performed after both Psalm verses, the Glory, and Now and Ever, in works #1-26. It is even permissible to perform it one tone higher every time, i.e. from the final pitch of Psalm verse's first voice part.



და თე - სლსა! ყო - ვე - ლსა შო - რის თე - სლსა
და თე - სლსა! ყო - ვე - ლსა შო - რის თე - სლსა
da te - slsa! qo - ve - lsa sho - ris te - slsa

და თე - სლსა!
და თე - სლსა!
da te - slsa!

გადიდებთ შენ
gadidebt shen

3.1)

